



## დაუყოვნებლივ გასაგრძელებლად

### წამების საწინააღმდეგო ორბანო საქართველოს აპრიტიკებს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები საქართველოს წამების აღკვეთისკენ მოუწოდებენ

(თბილისი, 25 ოქტომბერი, 2007 წ.) – „საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედოს, რათა თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში აღკვეთის წამება და სხვა სახის ცუდად მოპყრობა,“ – განაცხადეს დღეს ორგანიზაციებმა „საერთაშორისო ამნისტია“, „ჰიუმან რაიტს უოჩი“ და „ციხის საერთაშორისო რეფორმა“. წამებისა და არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა (წამების საწინააღმდეგო კომიტეტი) დღეს გამოაქვეყნა თავისი ბოლო ანგარიში საქართველოზე, სადაც აღნიშნულია, რომ თავისუფლების აღკვეთის მრავალ დაწესებულებაში არსებული პირობები არაადამაკმაყოფილებელია.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა, რომელიც ევროსაბჭოს მონიტორინგის ორგანოა, თავის ანგარიშში აღნიშნა, რომ საქართველომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია პოლიციის ზედამხედველობაში მყოფ დაკავებულთა ცუდად მოპყრობის პრევენციის მხრივ, თუმცა პატიმართა მიმართ ცუდად მოპყრობის პრაქტიკა კვლავ გრძელდება და პირობები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არაადამაკმაყოფილებელია. წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა დაასკვნა, რომ ერთ-ერთ მეტად გადატვირთულ ციხეში, კერძოდ, თბილისის №5 საპყრობილეში, „პატიმრობის პირობები... არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას უტოლდება და, როგორც ასეთი, ცივილიზირებული საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელია.“ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშები კონფიდენციალურია, ვიდრე ანგარიშის სამიზნე სახელმწიფო კომიტეტს მისი გამოქვეყნების ნებართვას არ დართავს. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ მომზადებული ანგარიშების გამოქვეყნებაზე საქართველოს უარი ჯერ არ უთქვამს.

„ჩვენ მივესალმებით საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას -- ნებართვა მისცეს წამების საწინააღმდეგო კომიტეტს, გამოაქვეყნოს თავისი ბოლო ანგარიში,“ -- განაცხადა ნიკოლა დაქუორსმა, „საერთაშორისო ამნისტიის“ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური პროგრამების დირექტორმა. „ეს ანგარიში საშუალებას აძლევს ყველას, ვინც საქართველოში წამების პრევენციითა და სასჯელადსრულების სისტემის რეფორმით არის დაინტერესებული – საქართველოს ხელისუფლება, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო საზოგადოება – რომ გააძლიერონ მიმდინარე ძალისხმევა რეფორმების მიმართულებით, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს

წამება და სხვა სახის ცუდად მოპყრობა და სამართალში მიეცენ ისინი, ვინც ასეთ ქმედებებს ჩადიან.”

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, სხვა მრავალ რეკომენდაციასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, ციხეთა გადატვირთულობის დიდი ხნის პრობლემის სამუდამოდ მოგვარებისა და სოციალური რეაბილიტაციისა და პატიმრებისთვის შინაარსიანი საქმიანობის პროგრამების განხორციელებისკენ, აგრეთვე, პატიმართა მიმართ ცუდად მოპყრობის პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლისკენ. ყოველივე ეს, თითოეული პატიმრისთვის ფუნდამენტურ უფლებათა გარანტიის გზით უნდა მოხდეს, აგრეთვე, პატიმართა უფლებების დარღვევის ყველა ფაქტის ეფექტური გამოძიებით.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი პერიოდულ ვიზიტებს ახორციელებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მათ შორის ციხეებში, პოლიციის განყოფილებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და მიგრანტთა დაკავების ცენტრებში, რათა შეამოწმოს დაკავებულთა მიმართ მოპყრობის პირობები და საჭიროებისამებრ რეკომენდაციები გაუწიოს ხელიუფლებას. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მესამე ვიზიტი საქართველოში 2007 წლის მარტსა და აპრილში განხორციელდა.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიში ქვეყნდება თითქმის ერთი წლის თავზე მას შემდეგ, რაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო შვიდი პატიმრის დაღუპვასთან დაკავშირებით, რომელიც სამართალდამცავთა მიერ 2006 წლის 27 მარტის ციხის არეულობის აღკვეთას ემსხვერპლა. სამართალდამცავებმა პატიმართა წინააღმდეგ, რეზინის ტყვიებთან ერთად, გამოიყენეს ჩვეულებრივი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვია-წამალი. თვითმხილველთა თქმით, არ ყოფილა კონტროლის არაძალადობრივი საშუალებების გამოყენების მცდელობა. ძალის გამოყენების შედეგად, სულ მცირე შვიდი პატიმარი დაიღუპა და 17-მა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება.

„ჰიუმან რაიტს უოჩ“-ის ანგარიშში – „პატიმართა უფლებების დარღვევა საქართველოში“ (<http://hrw.org/reports/2006/georgia0906/>) – აღწერილია 27 მარტის ოპერაციის მსვლელობისას ციხის არეულობის აღკვეთის მიზნით სპეც. დანიშნულების რაზმის მიერ პატიმართა წინააღმდეგ ძალის გადამტყვებით და კანონსაწინააღმდეგოდ გამოყენების კონკრეტული შემთხვევები. სამი თვის შემდეგ ხელისუფლებამ დაიწყო სამართალდამცავთა მიერ ციხეში არეულობის აღკვეთისას უფლებამოსილების შესაძლო გადამტყვების გამოძიება, ხოლო 2006 წლის ოქტომბერში გენერალურმა პროკურატურამ შვიდი პატიმრის დაღუპვასთან დაკავშირებით აღძრა საქმე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ავალდებულებს საქართველოს ხელისუფლებას დროულად და ეფექტურად გამოიძიოს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მომხდარი გარდაცვალებისა თუ სხეულის მძიმე დაზიანების ყველა შემთხვევა, პატიმართა მხრიდან ნებისმიერი სახის წინააღმდეგობის მიუხედავად. თუმცა, გენერალური პროკურატურის მიერ 2006 წლის 27 მარტს ციხეში მომხდარი არეულობის აღკვეთის დროს თანამდებობის პირთა მოქმედებისა და სასიკვდილო შემთხვევებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და მისი შედეგები არ გამხდარა საჯარო. ოფიციალურ წყაროთა ცნობით, არ მომხდარა ამ სპეც. ოპერაციის განმანხორციელებელ სამართალდამცავთა მიმართ რაიმე ბრალის წაყენება.

„27 მარტის მოვლენების გამოძიება მეტისმეტად გაჭიანურდა, რაც საქართველოს ხელისუფლების მოწადინებას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასთან დაკავშირებით ეჭვქვეშ აყენებს,“ -- განაცხადა ჰოლი კარტნერმა,

“ჰიუმან რაითს უოჩ”-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების აღმასრულებელმა დირექტორმა. „დაზარალებულებს, მათი ოჯახის წევრებს და საზოგადოებას უფლება აქვთ ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ რა მოხდა 27 მარტს, ე.წ. ციხის ამბოხის დროს და იცოდნენ, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა პატიმართა სიკვდილისა და არასათანადო მოპყრობისათვის”.

საქართველოს ხელისუფლება ახლახან წამების პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით ახალი ინიციატივებით გამოვიდა. 2005 წელს რატიფიცირებული წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატიური ოქმის (OPCAT) ფარგლებში, საქართველოს ხელისუფლება წამების წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობს. სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს კონკრეტულ პოლიტიკას და ცვლილებებს არსებულ პრაქტიკაში, წამებისა და სხვა არაადამიანური მოპყრობის პრევენციის მიზნით. მათ შორისაა „წამების ან გადამეტებული ძალის გამოყენების შემთხვევების ეფექტური გამოძიების“ უზრუნველყოფის გზები.

„სამოქმედო გეგმა თავისთავად მისასალმებელია, თუმცა ეს დაპირებები ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ადრევე გაკეთებულა,” -- განაცხადა მერი მერფიმ, „ციხის საერთაშორისო რეფორმის” სამხრეთ კავკასიის ოფისის დირექტორმა. „ამგვარი დაპირებების სანდოობისთვის ქმედითი ღონისძიებებია საჭირო. ერთ-ერთი ამგვარი ნაბიჯი იქნება ყოველთვიურად პატიმართა რაოდენობის 400 პირით მზარდი ტენდენციის შემცირებისა და შეჩერების მიზნით დაუყოვნებელი ღონისძიებების დატარება; აგრეთვე, ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული წამების საწინააღმდეგო დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა, რომელიც მონიტორინგს განახორციელებს და ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმის გატარებას.”

„საერთაშორისო ამნისტია”, „ჰიუმან რაითს უოჩი” და „ციხის საერთაშორისო რეფორმა” მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ დღეს გამოქვეყნებულ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები; განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ციხეების გადატვირთულობის პრობლემის აღკვეთასა და სხვა დაუყოვნებლივ გასატარებელ რეფორმებს უკავშირდება. ციხეების გადატვირთულობის პრობლემა დროულად და პრიორიტეტულად უნდა მოგვარდეს, აღმკვეთი ღონისძიების სახედ პატიმრობის უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გამოყენების გზით.

ეს ორგანიზაციები აგრეთვე მოუწოდებენ ხელისუფლებას, უზრუნველყოს ის, რომ წამების საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმა შეიცავდეს კონკრეტულ ინდიკატორებს და დროის განსაზღვრულ ვადებს წამების პრევენციის მიზნით რეფორმების განსახორციელებლად. გეგმის სრული ეფექტურობისთვის, სამოქმედო გეგმა გამყარებული უნდა იყოს ხელისუფლების მხარდაჭერით უმაღლეს დონეზე, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირთა მიერ მკაფიო და არაორაზროვანი საჯარო განცხადებებით.

ეს ორგანიზაციები აგრეთვე მოუწოდებენ ხელისუფლებას, დროის გაჭიანურების გარეშე აუწყოს დაზარალებულებს, ოჯახის წევრებს, პარლამენტს და საზოგადოებას 2006 წლის 27 მარტს ციხეში მომხდარი სავარაუდო ამბოხის გამოძიების შედეგები.

„გამოძიების შედეგების საჯაროობაა ხელისუფლების ინტერესებში შედის, რაც აუცილებელია სისხლის სამართლებრივი და სასჯელაღსრულების სისტემების რეფორმირების მეტი დამაჯერებლობისათვის,” – განაცხადა ჰოლი კარტნერმა. „ეს კიდევ ერთხელ დაარწმუნებს საქართველოს მოსახლეობას, აგრეთვე, ყველას, ვისაც სურვილი აქვს რეფორმების განხორციელებაში დაეხმაროს საქართველოს, რომ უკვე არსებობს მომაკვდინებელი ძალის

გადამეტებული გამოყენების შემთხვევების გამოძიების ეფექტური პროცედურები.”

**დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ:**

თბილისში: გიორგი გოგიას, Human Rights Watch-ი, (ქართულად, ინგლისურად, რუსულად): +995-77-42-12-35

თბილისში: მერი მერფს, Penal Reform international-ი, (ინგლისურად, რუსულად): +995-32-98-35-60; ან +995-32-20-57-75; ან +995-77-44-88-41 (მობ.)

ნიუ-იორკში: ჯეინ ბიუქანანს, Human Rights Watch-ი, (ინგლისურად, რუსულად): +1-212-216-1857; ან +1-917-553-4315 (მობ.).